*დანართი №1*

**სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (ქ. თბილისი) მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** ქეთევან ბოტკოველი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

**წევრი:**

გიორგი მამასახლისი - დარგის ექსპერტი - "სპორტის ინსტრუქტორი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **202949159**

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე***

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის **2026 წლის 11 თებერვლის MES 1 26 0000150705** ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე **"სპორტის ინსტრუქტორი"** პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა **2026 წლის 24 თებერვალს ქალაქ თბილისის ლოკაციაზე (მის: ეგნატე ნინოშვილი N55).** ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი 1). ვიზიტის დღეს ავტორიზაციის სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელთან, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| "სპორტის ინსტრუქტორი" | 80 | 80 (2 მიღებაზე) | 0 | 7 |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

### ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| "სპორტის ინსტრუქტორი"; | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

### IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

### V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

**ინდიკატორი 2.2.1.3 -პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი განმახორციელებლები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და მათი პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვა, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები.

**ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სპორტის ინსტრუქტორი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში / Higher Vocational Qualification in Sports Instruction |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1014 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, ეგნატე ნინოშვილის ქ. 55 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში<br>კოოპერაციული |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 80 (ჯამში 160) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 80 (ჯამში 160) |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 97 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 127 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:*

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სპორტის ინსტრუქტორი“ ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა 2024 წელს. აღნიშნულ წელს სტუდენტთა მიღების კვოტა განისაზღვრა 80 ადგილით, პროგრამაზე განაცხადთა რაოდენობამ კი 140 შეადგინა, რაც არსებითად აღემატებოდა დადგენილ კვოტას. 2025 წელს კოლეჯმა მოიპოვა ავტორიზაცია. ამ ეტაპზეც სტუდენტთა მიღების რაოდენობა კვლავ განისაზღვრა 80 ადგილით. არსებული კვოტის ფარგლებში კოლეჯმა მიიღო 11 პროფესიული სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ მსურველთა რაოდენობა კვლავ 100-ს აღემატებოდა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს პროგრამაზე სტაბილურ მდგრად და მზარდ მოთხოვნაზე, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სტუდენტთა მიღების კვოტის გაზრდის შესახებ. ამ ეტაპზე კოლეჯს მოთხოვნილი აქვს დამატებით 80 სტუდენტის მიღების უფლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა სრულად ფარავს არსებულ კვოტას (80) - 2024 წლის საშემოდგომო მიღებაზე ჩაირიცხა -76 პროფესიული სტუდენტი, აქედან 7 პროფესიულ სტუდენტს შეუწყდა სტატუსი, შესაბამისად კოლეჯი შემოიფარგლა 69 აქტიური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტით. 2025 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში, დარჩენილი კვოტის გათვალისწინებით, კოლეჯმა მხოლოდ 11 პროფესიული სტუდენტი მიიღო და საერთო ჯამში ამ ეტაპზე კოლეჯს 80 აქტიური პროფესიული სტუდენტი ჰყავს.

კოლეჯის სასწავლო სივრცეებში უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობას და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი.
კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სპორტის ინსტრუქტორი“ შემუშავებულია კოლეჯის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯს აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: 6-A, (305; 306 (პირველადი გადაუდებელი დახმარება); 308; 310; 312; 315) და B ტიპის სასწავლო გარემო, რომელთა ფართობი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ნორმებს. თითოეულ სივრცე განსაზღვრულია 20 პროფესიულ სტუდენტზე და შესაბამისად მათში განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, კომპიუტერები, პროექტორი, პრინტერი.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პარტნიორი ორგანიზაციების რესურსების გამოყენებით. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, რომლის საფუძველზე 2030 წლამდე უსასყიდლოდ სარგებლობს უნივერსიტეტის სპორტული მოედნებითა და დარბაზებით. ასევე მოქმედებს ხელშეკრულება საცურაო ცენტრთან „შპს არენასთან“, რომლის მიხედვითაც კოლეჯი ასევე 2030 წლამდე შეუზღუდავად სარგებლობს საცურაო აუზებით.
ცალკეული მოდულების და სპორტის სახეობების ფარგლებში გაფორმებულია ასევე ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (მოდული: ფეხბურთი, ს.ფ.მ. – თითო ჯერზე 15 სტუდენტი);
- საცურაო ცენტრი „შპს არენა“ (თითო ჯერზე 10 სტუდენტი);
- გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია (თითო ჯერზე 10 სტუდენტი);
- საქრთველოს ფარიკაობის ფედერაცია (თითო ჯერზე 10 სტუდენტი);
- სქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია (თითო ჯერზე 10 სტუდენტი);
- ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“ (თითო ჯერზე 10 სტუდენტი).

**ხელშეკრულების პირობებით, აღნიშნული დაწესებულებები ვალდებულნი არიან 2030 წლის ჩათვლით მოემსახურონ კოლეჯს.**
კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა და პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფს პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული აქტივობების სრულფასოვან განხორციელებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორი“ განსახორციელებლად კოლეჯს ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს პროფესიული განათლების 38 მასწავლებელთან, მათ შორის არიან: 18 - პროფესიული მოდულების, 9 - ზოგადი მოდულების და 11 - „სპორტული სახეობების“ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას. მოდულების უმრავლესობაზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ამცირებს სასწავლო პროცესის რისკებს და ქმნის პროგრამის უწყვეტობისა და მდგრადობის გარანტიას. კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით პროგრამას დაემატა 2 პროფესიული მასწავლებელი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების განათლება, კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მათ გააჩნიათ როგორც შესაბამისი დარგობრივი ცოდნა, ისე სწავლების პროცესისთვის აუცილებელი პედაგოგიური კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიან განხორციელებას.

მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა დაგეგმილია „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნების გათვალისწინებით - კვირეული სამუშაო დრო არ აღემატება 40 საათს, ხოლო საათების განაწილება არის გონივრული და დაბალანსებული, რაც გამორიცხავს როგორც გადატვირთვის, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები დეტალურად განსაზღვრავს მათ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, მათ შორის: საკონტაქტო საათების ჩატარებას, სასწავლო პროცესისთვის მომზადებას, კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, ასევე პროფესიული სტუდენტების შეფასებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა არის ოპტიმალური და რეალისტური, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ განვითარებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას გათვალისწინებულია მასწავლებლის სამსახურეობრივი ფუნქცია-მოვალეობები და მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციის არსებობა. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია: განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერთიფიკატები, ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაქმებული არიან შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლები პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია და პედაგოგიური უნარები. ზოგადი მოდულების განმახორციელებელ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებს ასევე აქვთ პროგრამით გათვალისწინებული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება. პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების კანონთან შესაბამისობა რეგულირდება შიდა ნორმატიული დოკუმენტით.

პროფესიულ მასწავლებელთა პედაგოგიური უნარების შემდგომი განვითარების მიზნით, 2025 წელს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ იქნა ტრენინგი/ვორქშოპი, რომელიც შეეხებოდა პროფესიულ განათლებაში შეფასების არსსა და მიზნებს (ტრენინგს ესწრებოდნენ, როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის ფილიალის პროფესიული მასწავლებლები). ტრენინგის ფარგლებში მასწავლებლები გაეცნენ სწავლებისა და შეფასების ტიპებს, შეფასების მიმართულებებსა და პრინციპებს, შეფასების პროცესის ეტაპებს, სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის, შექმნისა და სათანადო დოკუმენტირების საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეფასების მტკიცებულებების სწორად დაგროვებისა და შენახვის პრაქტიკულ ასპექტებს.

**იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი პროფესიული მასწავლებლები, მიზანშეწონილია კოლეჯმა უზრუნველყოს მათი გადამზადება და პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვა, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.**

საბოლოო შეფასებით - მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, სამუშაო დატვირთვის ოპტიმალური განაწილება მოწმობს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ პროგრამა ,,სპორტის ინსტრუქტორის" განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და პასუხისმგებელობები განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის 25-ე მუხლით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი უმაღლესი განათლებით, მას აქვს დარგის მიმართულებით მუშაობის, აგრეთვე პროფესიულ განათლებაში საქმიანობის გამოცდილება და არის პროგრამის ერთი პროფესიული მოდულის განმახორციელებელი.

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და პასუხისმგებელობები განსაზღვრულია ასევე შრომითი ხელშეკრულებით. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქციებსა და მოვალეობებს, იღებს მონაწილეობას პროგრამის შემუშავებაში, განვითარებაში, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორის" ხელმძღვანელი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

კოლეჯში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა არსებობს როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონულად. კოლეჯის ბიბლიოთეკას აქვს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული წიგნები და ელექტრონული მართვის სისტემა. ბიბლიოთეკაში არის ყველა ის სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია მოდულებში. საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება სტუდენტს შეუძლია მისთვის ხელსაყრელ დროს. წიგნები იძებნება კატალოგებით. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასე პროფესიული მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სასწავლო პროცესის მხარდამჭერი ფუნქცია. ის აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მასში მოწყობილია პროფესიული სტუდენტებისთვის 12 ადგილიანი სამკითხველო სივრცე, სადაც განთავსებულია 2 კომპიუტერი, 1 ლეპტოპი და ასლგადამღები ტექნიკა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის ინდივიდუალურ, საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სსსმ/შშმ პირების სწავლების დროს შესაძლებელია მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს რესურსების ცვლილებაც. ამ პროცესში სწავლების შედეგები შეიძლება შეიცვალოს შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც პირდაპირ უკავშირდება კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას. ცვლილებების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს ან მისი კანონიერ წარმომადგენელს ეცნობება შესაბამისი ინფორმაცია და გაიცემა შესაბამისი ცნობა.

სსიპ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წესში“ დეტალურად გაწერილია პროფესიული განათლების ინკლუზიური ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდაჭერისთვის, დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირის ჩართვას. ამ ეტაპზე კოლეჯს „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ჰყავს სსსმ და ან შშმ პროფესიული სტუდენტი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდგომ კოლეჯი აწარმოებს შესაბამისი შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო და რეალურ კალკულაციას, რაც საშუალებას აძლევს დაეგეგმოს ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადი განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის კოლეჯს შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი. რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 9 პროფესიული სტუდენტით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს შემოსავლებსა და ხარჯებს. შემოსავლების ძირითადი წყაროებია სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების ღირებულებას და ადმინისტრირების ხარჯებს (ხელფასები, კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა საოპერაციო ხარჯები).

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ტრენინგებზე დასწრების ფურცლები და შესაბამისი სერტიფიკატები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორი“ პაკეტი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

13.03.2026



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: